




ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 27

2013 წლის 8 თებერვალი

ქალაქი ხაშური



სამეწარმეო (კომერციული) იურიდიული პირი-შპს "ხაშურის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი"-ს ლიკვიდაციის დაწყებისა და ლიკვიდატორად დავით ჩიქოვანის დანიშვნის შესახებ

"მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის, "ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-16-ე მუხლის მეორე პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, 43-ე მუხლის მესამე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის; "სახელმწიფოს/ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით არსებული საწარმოების ლიკვიდაციის წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2010 წლის 27 სექტემბრის №1-1/2044 ბრძანებით დამტკიცებული დებულების; ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2007 წლის 20 აპრილის N38 განკარგულებით დამტკიცებული შპს "ხაშურის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი"-ს წესდების მე-13-ე მუხლის 13.1 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და ამავე შპს-ს 25.01.2013წ. N1 წერილის საფუძველზე:

1. განხორციელდეს შპს "ხაშურის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი"-ს (ს/კ 243911898) ლიკვიდაცია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
2. დაევალოს ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს გამოსცეს ბრძანება ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული შპს-ს ლიკვიდაციის, შპს "ხაშურის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი" -ს დირექტორის დავით ჩიქოვანის (პირადი N 57001019144) დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლებისა და ამავე საზოგადოების ლიკვიდატორად ანაზღაურების გარეშე დანიშვნის შესახებ.
3. დაევალოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობას მიიღოს შესაბამისი ზომები ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული შპს-ს ლიკვიდაციის შესახებ.
4. ეს განკარგულება ძალაში შევიდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ ხაშურის რაიონულ სასამართლოში (ქ.ხაშური, კოსტავას ქ.N15).

საკრებულოს თავმჯდომარე  დავით ლომიძე

